



გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოს!  
 გაუმარჯოს საქართველოს  
 დემოკრატიულ რესპუბლიკას!  
 გაუმარჯოს თავისუფალ ხელოვნებას  
 თავისუფალ საქართველოში!

„თეატრი და ცხოვრება“

წლიურად 15 მან., ნახევარი წლით 9 მან. თითო ნომერი — 1 მან. ხელის მოწერა მიიღება: თბილისში, ბაზრის ქ. № 20, ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ. თბილისი, რედ. „თეატრი და ცხოვრება“ იოსებ იმედაშვილს.

1918 წ. № 14 კვირა, დვინო ისთვის 20

ფასი 2 მან.

წელიწადი მეექვსე გამოცემის



აკაკი ჩიხეკელი

გარეშე საქმეთა მინისტრი, საქართველოს დამოუკიდებლობას თავდადებული მოღვაწე ამ უმად ბერლინშია. (სურათი გადაღებულია სტუდენტობის დროს 1895 წ.)



საქართველოს (სენაკის მაზ.) პირველი საეროპო ყრილობა




გამგეობა; 1, ი. სალაყაია, თავმჯდომარე; 2, გრ. ცეკვაშვილი, ამბ.; 3, პ. ქავთარაძე და 4, ა. ფინხაია (წევრი).

ხმონები: ნ. კეკელია [ს. ფ.] ლ. გვეგენა ა. ცანავა, ი. სალაყაია, გ. ბოკერია, ბ. ძველია, ი. პერტია, პ. ქობალაძე ლ. დავითაია [ს.-დ-ბი]; ი. ჩხეტია (ს. ფ.) გ. თოფურაძე, კ. პირტახია, გ. ქლიავა, ე. როგავა, ყ. ჩიქოვანი (ს.-დ-ბი); პ. ქავთარაძე, ლ. დარჩიმელია, ბ. დუნდუა (ს.-რ-ბი).





საქართველო  
კომუნისტური



კომ. რევაზ გოგინაშვილი.

# წერილები ხელო ნებაზე

კომ. რევაზ გოგინაშვილმა, რომლის ქართული ოპერა „ქრისტინა“ ქართულ მომღერალ-მუსიკოსთა კავშირის-მიერ ხუთჯერ იქმნა წარმოდგენილი, დასრულა მეორე ოპერა „კუდიანი. სხვათა შორის, ჩვენი ოპერის პირველ მერცხალს დიდი სურვილი აქვს უფრო დახლოვებით გაიგოს თავისი მშობლიური მუსიკა და ამ მიზნით სურს მოეძიოს საქართველოს უველად კუთხე. მაგრამ ხელს უშლის ნივთიერი ხელმოკლეობა. ანტრეპრენიორი ლევიტკი მოვალე იყო აღნიშნული ოპერები რეპერტუაში შეეტანა. ამათი დადგმა სცენაზე დიდს ხარჯს არ გამოიწვევს. მოვალეობა მკითხველს, რომ როდესაც ლევიტკი სახელმწიფო თეატრს აჯარით იღებდა ბეგრს შეგებრდა, რომ ქართულ ოპერებს, რომელნიც კი მოაზრებდნენ, დაუდგამო. მართალია ქართული ოპერების რეპერტუარი მდიდარი არაა, მაგრამ არც ისე დარბია, რომ ორი ოპერით განისაზღვროს. და რეპერტუარში, ვიმეორებ, არაფიშიელას და ფალიაშვილის ოპერების გარდა აგრეთვე რეგ. გოგინაშვილის შემოხსენებული ოპერები და სხ. უნდა შევიდეს. ჩვენ ამას ვთხოვლობთ და, მგონია, უფლებაც გვაქვს, რომ საქართველოს სახელმწიფო თეატრში პირველ რიგში დაიდგას ქართული ოპერები და არა მომაბეზრებელი „რიგოლეტო“ და სხ.

მაგრამ ჩვენთვის უცნობა ლევიტკი რათა ვაგამტუენო როდესაც ქართულმა სამუსიკო საზოგადოებამ, რომლის პირდაპირი მოვალეობაა ქართულ ოპერების შეკრება და კომპოზიტორების წახალისება, უურადღებაც კი არ მიაქცია გოგინაშვილს. კაცს დამთავრებული აქვს ზარბის კონსერვატორია და იგი მასწავლებლებსაც კი არ მიიწვიეს.

\* \*

სანკრძლივ ძილის შემდეგ ქართ. დრამატული საზოგადოებამ ერთი ხეიარანი საქმე მოაწყო. მან დაარსა სასცენო სტუდია და მას ხელმძღვანელად მოიწვია ნიკიერი რეჟისორი ბ. ჯაბადარი. რამდენი თვეა რაც სტუდას მუშაობს და სიმართლე უნდა ითქვას, რომ, როგორც ხელმძღვანელი ისე მოწაფენი, სკინდისიყვად ეკიდებიან თავის მავალეობას. სტუდია უკვე ემზადება და გიორგობის თვეში ქართულ სცენაზე ვიხილავთ სასცენოდ მომზადებულ ახალგაზდა მსახიობთა დასს.

დილეტანტიზმი ნელნელა ჩაბარდება არქივს, საშვილიშვილო საქმეს იზავს დრამატული საზოგადოება რომ ქუთაისშია მოაწიონ ამგვარივე სტუდია.

ახალგაზდა სცენის მუშაკთ დიდი მუყაითობა და გარჯა სჭირიათ, რომ ჩვენს განთავისუფლებულ სამშობლოში სასცენო ხელაწიება დიხსეულ დონეზე აიუვანონ.

სვ. წერეთელი.

# შენიშვნა

ჟურნალ „თეატრი და ცხოვრებას“ № 13-ში წავიკითხე წმინდის გულით დაწერილი სტატია იოსებ არიმათიელისა, რომელიც ამბობს, რომ ჩვენი მხატვარი მწერლები: ვ. ბარნოვი, მგალობლიშვილი, მელანია, ლალიანი, ბაჩანა, თ. რაზიკაშვილი და სხვ. ამ დიდი შიმშილობის დროს წყდებიან და მოუწოდებს საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის მთავრობას, შექნას საქართველოში სამწერლო ფონდი ადრე და მალე.

მე ღრმათა ვარ დარწმუნებული, ეს ასეც იქნება ჩვენი მთავრობის კაცები თვით ჩვენივე საკუთარი სასახელო ყროვნული მწერლებია, რომელთაც თვით საკუთარ ზურგზე გადუტანიათ მწერლობის სისაწყლვე და აუტანელი სიღარიბეც რუსეთის დებოტიის დროს, მათაც სანატრელსაგნათ, იღვალათ ქონდათ გამხდარი როგორმე სალიტერატურო ფონდის საქართველოში დაარსება, მარა მაშინ, აბა ასეთ საქმეს სახირკველი როგორ და ჩაეყრებოდა?!

დღეს ხომ სულ სხვა დროა, ისეთი დრო, რომლის მსგავსი სიზმრათ თუ ვიქმე მოეჩვენებოდა, ნუთუ ამ საქმეს არც ახლა ჩაეყრება საძირკველი?





საქართველო  
თავისუფლების  
ბრძოლისათვის

თუ გულისთ ვეტრფით საკუთარი უნი-  
ვერსიტეტის გაჩენას, დამკვიდრებას და  
აღორძინებას, ნუ თუ ლიტერატურა, ჩვე-  
ნი სიმპატიური მწერლობა არ იყო და  
არ არი დედა ბოძი, მშობელი ჩვენი ხე-  
ლოვნების, თეატრისა და მეცნიერებისაც,  
თუ გნებავთ?

მართალს წერს იოსებ არიმათიელი:  
იქნება ყოველიჯურის ნაწერი წაინაშოს  
წმინდა ხელოვნურ მხატვრული ნაწარმო-  
ები-კი კაცობრიობას მუდამ საჩკეთ და  
ხატათ ექნება თვალწინო.

მხატვრული ლიტერატურის ერთი დი-  
ადი და ძლიერი შიტო კრიტიკა; ესეც  
დივიდუალური შემოქმედობის ნაყოფია  
სწორეთ ისე, როგორც მგოსნის, ბელე-  
ტრისტის და დრამატურლის ნამოქმედა-  
მიც წმინდა სალიტერატურო კრიტიკა მე-  
ცნიერება არ-არა. ისიც წმინდა მხატვრუ-  
ლი ნაწარმოებია და ნამდვილი ჭეშმარი-  
ტი კრიტიკული ნაწარმოებისთვის კრი-  
ტიკოსიც სწორეთ იმავე პირობას ას-  
რულებს, როგორ მგოსანი, ბელეტრი-  
სტი და დრამატურლი...

ჩვენი ღარიბი ლიტერატურა ნამ-  
დვილი, უტყუარი კრიტიკოსის ტალან-  
ტით შემკული მწერლებით მდიდარი, რე-  
თქმა უნდა, არ იყო და არც არა, მარა  
ვინცარი, ვინც თითითსაჩვენებელი გვყო-  
ლია და გვყავს, ისიც დღეს შიმშილით  
კვდება...

იოსებ არიმათიელს თბილი ელი მწე-  
რლები ჩამოუთვლია, რადგან იმათსისა-  
წყლეს და დაღრეჯალობას ყოველ დღე  
ხედავს.

მარაარი ქართველი მწერალი პრო-  
ვინციაშიაც სახელდაბრ, ქუთაისში. ეს მწე-  
რალია ჩვენი კრიტიკოსი ხომლედი,  
რომელსაც უმოღვაწია მწერლობის ას-  
პარეზზე 35 წელიწადი და რომელსაც  
შავი-ქვის მრეწველთა საბჭო თვიურად  
აძლევს 50 მან. მარა ეს ხომ ათი გირვა-  
ნქა მჭადის ფქვილის ფასია დღეს, რომე-  
ლიც ერთ დღეს უნდება მის ოჯახს.

რა ქნას, რითი-და გამოიკვებოს მე-  
ორე დღეს, მესამე დღეს მწერალი? იმ

დღეს გზაში შევხვდი, ბუზ-ოღლოს თამბა-  
ქოს ქარხანაში მიდიოდა ადგილის საშო-  
ვნელად, იქნება მუშათ მიმიღონო მარა  
ურია მიიღო:

—ჩვენ, ვინც გვყავდა, იქიდან ექვსი  
კაცი დავითხოვეთო.

სხვა რა ზავოდი და ქარხანებია ქუთა-  
ისში, რომ ადგილი იშოვოს? თუ მოკ-  
ვდეს მწერალი ა'ე უღმერთოთ ჩვენი თვა-  
ლისწინ და ჩვენ კი ვერაფერი დავებმაროთ  
ამ კეთალშობ-ლ მუშაკებს...

ჭეშმარიტად, დიდი, ძალიან დიდი სა-  
ქმე დასაფიქრებელი და მოსაგვარებელი  
და საჭიროა, თქვენი ჟურნალის თქმის არ  
იყვეს, ჩვენი ნორჩი მთავრობის ფიზიკლმა  
უნიჭიერესმა წარმომადგენლებმა ამათზე  
იფიქრონ და ცოცხალი საქმე მოაწყონ ო-  
გორმე ყოვლის უწინარეს. მგზავრი.



არსენ ანტონისძე მამულაიშვილი—ლალიონი  
(1886-1918)

### სამელოვიარო

### ფურცელი

#### პარტიული სინდისი

სხვა სახელი ვერ მიწოდებია იმ მწერალ-მოღვა-  
წისათვის, რომელიც ენკენისთვის 18 თბილისში გარ-  
დაიცვალა.

ეს იყო არსენ მამულაიშვილი,—ლალიონი.

არსენ მამულაიშვილი გურული იყო, დაიბადა სა-  
ღვებზუს 1866 წ. სწავლა დაიწყო ოზურგეთის საქალა-  
ქო სასწავლებელში, დამთავრა თბილისის სამოსწავლო  
ინსტიტუტში და 1889 წ. სასწავლებლო მოღვაწეო-





ბას შეუდგა ქ. შემახას, ქ. ნახიჩევანს, თბილის (ჯერ სათ.-აზნ. გიმნაზიაში, ერთხანად კერძო სასწავლებელი ჰქონდა პანსიონითურ, ბოლო ხანებში თბილისის პირველ პირველდაწყებით უმაღლეს სასწავლებელში).

როგორც მასწავლებელი, ჰუმბარტი მოძღვარად მზრდელის ნამდვილი განსახიერება იყო; განსაკუთრებით დღესა მისი დანაკლისი მეტად სამძიმო, დღეს, როდესაც ჩვენი ერი ტყვეობიდან განთავისუფლდა, ხალხში სამშობლო განათლებას ასპარეზი გაეწინა და ჰუმბარტი მოქალაქე-მასწავლებელი-კი ფრიად მცირეა.

სამწერლო ასპარეზზე გამოვიდა 1895 და ამა წლის იანვრ. „მოამბე“-ს მე4-5ე ნომრებში დაბეჭდა მოთხრობა „ფირალი დავლაძე“, ეს ე. ნინოშვილის მოთხრობის „სიმონა“-ს ტყუპი. მწერლობაში იგი ე. ნინოშვილის სკოლის ერთი საუკეთესო დამამშვენიებელთაგანია: მწერალი მოძღვარი, ხალხის ცხოვრების სინამდვილით მხატვარი, აწმყა უკუღმართობის დამგმობი და საუკეთესო იდეალების იღუმლივ შთამგაღონებელი...

წიკითხეთ მისი მოთხრობები „ფირალი დავლაძე“, „ეფემიას ოცნება“ (კვალი 1901 წ.), „ბეჟუკას ხვედრი“ (სხივი, 1909 წ. № 1, 2 და 5), „თინა“, „ახ. ქვეყ. 1913 წ. №22-28), „რაქვიანა“, „შემთხვევა“ და სხ. და დანახავთ რა ნიჭიერი მწერალი გამოაკლ ა ჩვენს სამხატვრო მწერლობის მცირე ბანაკს.

როგორც პარტიული მუშაკი, სიყრმიდანვე ჩება მესამე დასის ჯგუფში—სოციალდემოკრატიულ პარტიაში და უკანასკნელ ხანამდე ამ პარტიის დედა აზრთა მტკიცე დამცველი და უმწიკვლო აღმსრულებელი იყო; პარტიაში იგი იყო თითქმის ერთად ერთი მიუყვარძველი, პარტიულ გაუგებრობათა მიუღღგომელი მსაჯული, სალი კლდესავით შეურყვეველი, პარტიული სინდისი იშვიათი სპეტაკი გრძობა-გონების კაცი

უსამართლობა ცხოვრებაში, ქვებუნაობა პარტიაში, პირადი სარგებლობის გულისათვის ხალხის სახელით ხალხისავე ფეხქვეშ გაქვლვა, ერთობის ნაცვლად ძმათა სისხლის დგრა, ხალხის საწინააღმდეგო მისწრაფების გაბატონება ხალხში სინათლის ნაცვლად სიბნელის ბატონობა, აი ყოველივე ეს მძიმე ლოდვიით ეწვა მას გულზე და თუმცა მთელ სიცოცხლეში „ადამიანის უსაზღვრო ბოროტებით მოღუშული“ იარებოდა, მაინც ღრმად სწამდა „მონობის ბორკილთა დაღწევა, საზიზღარ კერპთა დამსხვრევა“.

და მთელ თავის შეგნებულ სიცოცხლით ამ იდეას ემსახურებოდა მწერლობაში, სკოლაში, სახელმწიფოებრივ მოღვაწეობაში (ეროვნულ საბჭოს წევრი იყო), პარტიაში და სხ.

დიად, მას ღრმად სწამდა „მშრომელი ხალხის ძალა: ადრე თუ გვიან იგი თვით წარმოშობს გამირებს, ნამდვილ უანგაროთ მოღვაწეთ, ვინც წმინდის გულით და წრფელის განზრახვით თავდადებულ სამსახურს გაუწევს ჩაგრულთა საქმეს“—ა.

და როდესაც ასეთი გამირები გამოჩნდებიან, არსენის მისწრაფებანი გაიმარჯვებს და მაშინ თვით არსენიც მკვდრეთით აღსდგება, მარად მოსაგონარი შეიქმნება მისი უდროო გარდაცვალება ფრიად დიდი დანაკლისია ჩვენის მწერლობისა და სახელმწიფოებრივ აღორძინებისათვის!..

დაე, გადვიდეს შენი აღმომგზნები კერა, ძვირფასა არსენ, და შენი ხსოვნა ნურც წარიხოცება!..

საქართველოს განთავისუფლებულ, მაგრამ ჯერ კიდევ სნეულ ეკლესიას სწორედ იმავე დღეს (ენკენისთვის 181), როდესაც თბილისში გარდაიცვალა არსენ მამულაიშვილი ქუთაისში ნაშუადღევის 1 საათზე მოულოდნელად ხელიდან გამოეცალა ქუთაისის მიტროპოლიტი ანტონი (ერისკაცობაში ალექსი გიორგაძე). ენა-წყულიანი გამბედავი მქადაგებ რუსთა ტყვეობის ჩგან საქართ, ეკლეს, გან, მოძღვართაგანი,—აი ანტონ ქუთათელი; მაშინ როდესაც ჩვენი სასახლო მღვდელმთავარი კირიონი, ამბროსი, დავითი და ლეონიდე იდევნებოდნენ, ანტონ ქუთათელი ფიზიკლად სდარაჯობდა ვენს ეკლესიას, როგორც მოსაქმე და მქადაგებელი მისი ქადაგების საგანი იყო ჩვენი დაცემულ სამშობლოს გაფიზილება ერში მამულიშვილებს დე მოქალაქეობრივ აზრთა გაღვივება, სამშობლოსათვის თ გდადება, ზნეობით ამაღლება საზოგადოებრივ გრძობდა აღძვრა და სხ.

ყოველ მოვლენას, ყოველ ზოგად შემთხვევას შესაფერი სიტყვით განმარტვდა, მრევლს შთააგონებდა მაგრამ ნათქვამის დაბეჭვდა-კი არ უყვარდა: ამით თითქო მოკრძალებას იჩენდა.

სხვათა შორის, თავისი გაბედულობით და პირდაპირობით, შესანიშნავი იყო მისი სიტყვები აკაკის კუბოს წინაშე, მთაწმიდაში ილიას წლისთავზე კირიონ კათალიკოსის კუბოს წინაშე და სხ.

იგი იყო რომ გასული წლის მარტში მოაწყო საქართველოს ეკლესიის განთავისუფლების საქმე, რაიცა მისის 12 დადასტურებულ იქნა სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის არჩევით... და ამას ხომ შემდეგ (ამა 1918 წ. მისის 24) საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებაც მოჰყვა...

ვერაგულად მოკლულ კირიონ კათალიკოსის ცხეა დარი ჯერაც არ გაციებულა და მორწმუნე ქართველობას გული ჯერაც ვერ მოუთხებია, რომ ანტონ ქუთათელიც მოულოდნელად ხელიდან გამოგვეცალა. კაცი ჯანღონით სავსე (50 წ. თუ იქნებოდა) და სამშობლო ეკლესიის წინაშე დიდის სამსახურის მოიმედე...


რა მიზეზია? საქართველოს ეკლესიის სხეული დაავადებულია, სული დასნეულებული, ქართველი სამღვდლოების ბანაკი, ძლიერ მცირე გამოჩაკლის გარდა, მოშხამულია. ამ მოშხამულ ბანაკის ქვებუნაობის მსხვერპლია უნეტარესი კირიონი და ჩვენის დროის (გაბედვით შეიძლება ითქვას ოქროპირი ანტონ ქუთათელი...

მკურნალია საჭირო: კირიონისა და ანტონის აზრდილინი ამას მოთხოვენ!..

იოსებ არიმათიელი







### სინაფილმისთან დახლოება

ბინდუნდია. ფანჯარასთან ვზივარ. რა მეშვე-  
ლება ამალამ, სანთელიც გამომელია, ნამწვილა დამრჩა.  
ნეტავი როდის ჩავარდება ეს ჩვენი ნორჩი სახემწიფო თა-  
ვის კალაპოტში. შევმა ფიქრებმა გამიტაცეს...

მოდრი გავივლი, დრო უფრო სწრაფად გავივლის.  
მივხედო ერთი მარიამს, გუშინ საბრალო სულ მშიერი  
იყო. სოფლიდან ელოდა ბიძაშვილს, იქნება ფქვილი  
ჩამომიტანოს. მაგრამ საწყალი თვეზე მეტია ელის მაგ  
ფქვილს. აუჩქარე ფეხი. ახლოსა დგას ჩემგან. შევდი-  
ვარ ეზოში. ბნელა, მაგრამ ვარჩევ მის აივანს. რათ არის  
ასე დაცარიელებული, ოთახის კარიც ღიაა თითქოს აქაც  
ყველაფერი აკლებულია. სად არის მარიამი! სოფელში  
ხომ არ წასულა? თითქოს ვიღაცას გაუქურდავს აქაუ-  
რობა. ვაფათურებ ხელებს. ვეძებ საწოლს. მარიამი თა-  
ვისი დაბრანძილი კაბით წევს ზედ. ვალვიძებ, ვანჯღრევ  
მაგრამ შენი მტერი, გონებაში ვერ მომყავს. მაჯა არ  
უცეპს, გული არ უფეჩქავს. საბრალო მოკვდარა. ერ-  
თი კი ამოვიქვნიშე და გამოვარდი ეზოში. მისი ავლა-  
დიდება ეტყობა ქურდებს წაედოთ.

აღვშფოთდი. სახლში რაღას დავბრუნდებოდი. გა-  
ვეშურე კნენა მაკრინესთან. იმათი ამბავი კარგა ხანია  
არ ვიცოდი. ის თავის საკუთარ სახლში იდგა, მაკრა  
ოთახები წაართვეს: რეკვიზიცია გაუკეთესო, მიიხრა  
მისმა ბიძაშვილმა თებრომ, ახლა კნენა თავისი სამი  
ქალიშვილით და მე ორ ოთახში ვცხოვრობთო.

თვითონ კნენა მაკრინე, ის ფაშა დედაკაცი ჩა-  
მომმარცო, ერთ ოთახში ჩამწყვედუელიყო, არავის არ  
ინახულებდა. ამბობდნენ ჭკუახედაც არ არისო.

შესავალი კარები ღია დამიხვდა. ალბათ იმიტომ  
რომ ქუჩიდან სინათლე შესულიყო. ამ ერთ ოთახში მო-  
ვრევილიყვნენ სამივე დანი და იქვესკვირზე ჩამომჯდა-  
რიყო გაფითრებული თებრო. ქალიშვილებს ერთი ნამ-  
წვი ენთოთ, ხან აქეთ გარბენინებდნენ და ხან იქით. ერ-  
თი ქალიშვილი გაჩქარებით თეთრ ფეხსაცმელს იწმენ-  
და, მეი რე მაშითთქებს იხუჭუჭებდა, მესამე თეთრ შე-  
ლაიის კაბაში უკვე გამოწყობილიყო და მოღრბლული  
შესცქეროდა დებს.

როგორც შევიტყე თებროსაგან ესენი ყველანი კა-  
ფეში ზოსამსახურეთ შესულიყვნენ და ამათი ჯამაგირი  
ამათ სიკეკლუტეზე იყო დამყარ ბული.

ნადინკა, პუდრი მაინც დაიყარე სახეზე. როგორ  
ვერ დაივიწყე, რომ სტუდენტა აღარა ხ რ და თუ  
გნახვენ პირ უცნარს—არავინ მოგეკარება.

—ჩქარა, ჩქარა, დაბლის ხვით თქვა მეორე დან:  
წავიდეთ კაფეში. თორემ გვიგვიანდება, მერე მომიბ-  
რუნდა და მითხრა—დედამ არ იცის, რომ კაფეში ვმ-  
სახურობთ.

დაღონებული გამოვწიე: ისევ სახლში, ისევ სა-  
ხლში სჯობი!

ამ დროს ქუჩაში ვიღაც დედაკაცი დამეტაკა.  
რა დაგემართა სიღონია დაუყვირე.

—რაღა რა დამემართა. ჩემი სანთელი დაიკვირეს  
წუხელი გაუქურდავთ ლუქანი და ქურდებში ყოფილა  
გარეული. მერე იცი რა მომძახა: რომ იძახი პური, პუ-  
რო—მაშ ფული სად მეშოვნაო...

ყურები დავიცივი, რომ აღარა გამეგონარა და შე-  
ევდი სახლში. უცბათ შემომესმა, რომ ვიღაც ფათუე  
რობს ჩემ ქალღებში—ვინ არის მეთქი—დავიყვირე  
და თვალები დავაჭყიტე. თურმე ისე მძინებია, რომ ვერა  
გამიგინარა, როგორ შემოსულა ჩემთან ერთი კაი ნაცნობი  
**ანა ტასია თუმანიშვილი-წერეთლისა**



რ ა ინდარატ თაგორე

ინდოელთა სახელგანთქმული მგოსანი, ახლახან ინდო-  
ეთში დაპატიმრებული და შანჭაის წარგზავნილი სამარ-  
თალში მისაცემად, რომელსაც ბრალად ედება, ვითომც  
ინდოეთის მემამბოხეებთან კავშირი ჰქონდეს.

### სახალსო მასწავლებელს

მატიქული ხარ ნამდვილი,  
მეზარდ თაობის აღმზრდელი,  
ბედკრულთა მოჭირნასული  
ერთგულთა მასწავლებელი!  
წიგნის მკვდარ სიტყვებს მხოლოდ შენ  
უნდა ჩაუდგა სულია,  
რ.მ მოტიტიხე ბეჭდვისთვის  
იქოს მარტივი, სრულია.  
ახან თან უნდა აწვილო  
მამა-მამათა მხნეობა,  
მათებრ უეჭარდეს სამშობლო  
და მისი კეთილდღეობა.  
ტყვეობით ხსნიდი სამშობლო  
მოყლის ამ გვ წილებს;  
ქვეყნის შიშის და უნარი  
გაწროს ღს და გამოზრდალებს.  
**ალ. გერმანაშვილი**





ანნა ალექსის ასული კავთელი

ქართულ სცენის მსახიობი ქალი 1910წ სახალხო სახლში დაიწყო მუშაობა, შემდეგ თბილისის განაპირა უბნების სცენებზე, ხოლო 1915წ. ჩაირიცხა პროფესიონალ მსახიობად 1916წ მონაწილეობდა ბათუმის სცენაზე, 1917წ. ქუთაისში გარდაიცვალა მენინგიტით 1918წ ენკენის. 27.

### ცრემლები ადამიანისა

როდესაც ღმერთმა ექვსი დღის მუშაობის შემდეგ ყველაფრით მორთო, ადავსო ცარიელი ქვეყანა... როდესაც შან გააჩინა ყოველივე და მეექვსე დღეს განარებული შეპყურებდა მორთულ ქვეყანას, ის დაფიქრდა და ღრმა საგონებელს მიეცა... ის გრძობდა რაღაც ნაკლს თავის ქმნილებაში და სწუხდა სწუხდა უფალი და სწუხდა მთელი მსოფლიო... მთებს ზანზარი გაჰქონდა, ცხოველებს ყმუილი, მიწა ირყეოდა და ყველა ეს რაღაც საშინელებას წარმოადგენდა... ცახცახებდნენ თვით ანგელოსნიც და უფალს შეყურებდნენ... მათ ვერ გაეგოთ მიზეზი ამ საერთო უბედურობისა და ერთმანეთს გაკვირვებით შესცქეროდნენ. —ადამიანი მაკლია, ადამიანი! — გაისმა მქექარე და მგზნებარე ხმა შემოქმედისა... ყოველივე მიყურდა, მისწყდა თვით გამალებული ყმუილი ახლად შექმნილ ნადირთა და სმენათ გადაიქცა, იალბუზმა და ყაზბეგმა ერთმანდ გაიმეორეს უფლის სიტყვები, გადასძახეს სხეებს და ამ რიგათ სიტყვები შემოქმედისა ზარივით მოედო მთელ მსოფლიოს. გაიბო ზღვა და ყველა ანგელოზი უფლის გარშემო შემოკრბა. —ადამიანი მაკლია, ადამიანი! ისევ გაიმეორა უფალმა და დაჩუქდა... ის დააქცურდა მიწას და ღრმა საგონებელს მიეცა. —ნუ... ნუ გააჩენ მას! — ემუდარებოდნენ ანგელოზები... მოგვეცი ჩვენ ძალა, რომ ვიმრავლოთ და ადევნოთ ქვეყანა... ნუ, ნუ აავსებ ქვეყანას ცოდვილ არსებით... ნუ აჩენ მას - ევედრებოდა მთავარანგელოზთი. ვინ არის ადამიანი, რომლის მეოხებითაც უნდა და-

ირდევს ყოველივე, რომელმაც უნდა შეურაცხოს და წაპილწოს ყოველი ლამაზი ქმნილება და სიმშვენიერე... უნდა მოსცხოს ჩირქი თვით შემოქმედსაც კი... და დუმილი გამეფდა მთელ ქვეყნად.. ყოველივე მიჩუმდა და მხოლოდ გააფთრებული უფალი დასჩერებოდა მიწას და თვალებიდან ცეცხლს ჰყრიდა... —არა, არა!.. გაისმა კვლავ შემოქმედის ხმა. მე არავინ მსურს უფროსათ და არც არავისი მჯერა: მე თვითონ ვარ უფალი მსოფლიოსი... ვსთქვი და გათავდა!.. თქვენ კი რათ სწუხახართ?.. მე თქვენ შგარობებში ვივლი... მე არ მივცემ მიწის შვილს იმ ძალას რომლითაც ის წინაღუდვებს ზეციურთ... შემოქმედი ანგელოზებითურთ მთებიდან ძირს დაეშვა და აიღო კვერთხი და დაჰკრა მიწას. მიწა ორათ გასკდა და შუაგულიდან ამოგორდა რგვალი რამ... და სთქვა უფალმა: აი ჩნდება სიკვდილის შვილი ყოველი მხარე: სამხრეთი და ჩრდილოეთი. აღმოსავლეთი და დასავლეთი თავის წილში მიიღებს ამ სიცოცხლეს, ვინაიდან ეს მათ მოვარე... მაშინ ღმერთმა მოიღო ღრუბელი და აწვიმა მათსზე, თან კვერთხით ზელდა მიწას... და გამოჩნდა კისერი... შენ საჭიროებ საჭმელს და სასმელს, რაიც იქნება შენი უმთავრესი მიზანი ცხოვრებაში...“ გნმარტა უფალმა. —შემომქმედი კვლავ განაგრძობდა მუშაობას და როდესაც გამოჩნდა ხელი და ფეხი, — მიაძახა: ტანჯვაში და მუშაობაში დაიღვეა დღენი შენი. შემომქმედის წინ ახალი ქმნილება იზრდებოდა, სრულდებოდა... და გამოჩნდა თავი, ლამაზი და მიმზვიდელი სახე ,,შენ იქნები შეპყრობილი პირუტყვეული წადილებით და ეს უკანასკნელი იმდენათ ძლიერი იქნება შენში, რომ მუდამ იმეფებს შენზე შენს ხანმოკლე სიცოცხლეში... და ეძებ შენ სიმზიარულეს, მაგრამ ვერ გაძლები სურვილებით— ჩასძახა უფალმა... კიდევ უკანასკნელათ გაიქნია ხელი შემომქმედმა და ადამიანი მზათ იყო... და უნდოდა უფალს ებრძანებია ადგომა მისთვისო, მაგრამ ანგელოზი შეწყნარებისა წარსდგა უფლის წინაშე და მოახსენა: —მსოფლიოს მართალო მსაჯელო!.. ეს საწყალი ქმნილება იქნება მთელ ქვეყნათ. შენ აძლევ მას გონებას, რითაც ის გაიგებს და იგრძნობს თავის სისაწყლეს და არარაობას მსოფლიოში. ეს კი დიდი სასჯელია მისთვის... ის მუდამ გავალებული იქნება და ეს რისთვის... რისთვის უფალო?.. რათ გინდა ადამიანს აძაგებინო შენი სახელი... რათ გინდა უფალო ყოველივე ეს?... ნუ თუ შენვე გსურს დაშალო კეთილ-განწყობილება შენთა ქმნილებათა... უფალო, შეიწყნარე ადამიანი!.. ის ცოდოა, ცოდო. შენეთ, მის გრძობით სასვე თვალებს... ის ხომ ყველაფერს იგრძნობს... ის ხომ შეიჭმუნება და დაიღარება აუტანელ ტანჯვაში... ყოველივე ეს რისთვის, რათა უფალო... რა დაწაშული მიუძღვის მას შენს წინაშე... რა?... ის ხომ ყოვლათ უცოდველია და შენ კი ცოდვილათ გინდა აქციო... უფნლო, შენ ყოვლის შემძლე, ძლიერი ხარ... შენ ყველაფერი შეგიძლია...





ქართული

მ დ რ მ მ თ ღ ა ღ უ ხ ო ზ ლ ი რ ი თ ე ა

შექმენი სრული ადამიანი, მასზე ნუ დაირეკავ ხელს მაგრამ თუ ეს წინადადეგ გაქვს მოფიქრებული, შეუმსუბუქე მაინც სასჯელი... თუ მოიძულება მას... —ვიქ... ვიქ ათნეულათ გაიძახოდა უფალი დეიქრებს მისცემოდა...

—დიახ... მე შევცდი, შევცდი!.. ბრძანა უფალმა, მაგრამ რაც შეექმენი არ გავაქრობ ..

ეს სისუსტის ნიშანია... მე კი ყოვლის შემძლე ვარ ყოვლის შემძლე...

მხოლოდ ერთილა დამრჩენია, მივსცე მას სურვილი წუთისოფლისა იმდენი, რამდონიც მასში დაგებად სურვილი გარყვნილობისა...

და დუმილი გამეფდა... სდუმდა მსოფლიო თავის სტუმრებთან, სდუმდა ანგელოზთა საოცნებო გუნდი, მხოლოდ უფალი შფოთავდა, მოსვენებას ვერ ჰპოებდა.

შემოქმედი უკანასკნელათ შეიძრა. თვალი მოავლო თავის ქმნილებასა და შთაგონების ღიმილი მოერია... იქვე ახვდა ადამიანს, რომელიც მის წინ ქან დაკებასავით იდგა. თითქო დამნაშავე სასამართლოს წინ სდგას და მსჯავრს მოელისო...

უფალი ისევ დადონდა...

მიუახლოვდა ადამიანს, გაუღო თვალი და შიგრგვალი რამ ჩაუღო...

—ეს იქნება შენი ნუგეში!—მიუგო უფალმა.

როდესაც ადამიანი დაიტანჯება ცხოვრებაში და ვერ ჰპოებს მოსვენებას, მაშინ ის ცრემლებს მიმართავს. და ცრემლები შეუმსუბუქებს მას ყოველგვარ სიმწუხარეს...

ერთხელ კიდევ მიუახლოვდა უფალი ადამიანს და კოცნით გადასცა მას სიტყვა და გონება...

—იცოცხლე... უბრძანა უფალმა და მსოფლიოს წინაშე წარსდგა ახალი ქმნილება...

და შეხვდა მან ქვეყანას...

თვალი მოავლო ტურფად მორთულ მთავორაკებს. ბუმბერაზ მთებს... ამწვანებულ, ხავერდოვან მდელოს. ამაყათ მდგარ მცენარეთ...

და მაშინვე იგრძნო არაარობა...

ქვითინით დაეცა მიწაზე, აემღვრა გული და თვალებიდან გადმოსცივდა ორი ობოლი ცრემლი.

პირველი ცრემლები მწუხარებისა...

და ბევრჯერ ღვრის ის ცრემლებს...

და არ არის მთელ მსოფლიოში ისეთი ქმნილება რომელსაც შეძლოს იმდენი ცრემლის ღვრა, რამდენიც ადამიანს...

ცრემლი დიდი ნუგეში და განძია ადამიანისთვის წყარო ცრემლებისა, რომელიც მიუგნებელ ადგილსაა, მუდამ მზათა მწუხარება შეუმსუბუქოს საბრალო ადამიანს, მაგრამ როცა მწუხარება ზომას აღემატება, გული ქვაგდება... თვალები შრება...

მაშინ კი ცრემლებიც ერთიან ჰქრება და აუტანელ მწუხარებას განიცდის ყოვლად უმწეო, ტანჯვის ბუდეში დაბადებული ადამიანი.



ნიკოლოზ (კოლა) დავითის-ძე კიკნაძე

დუშეთის კომენდანტი, გარდ. 1918 წ. დრო სამსახურში აგვისტოს 10 აჩრიცხული აფიცრიმა კოლა დახვდა. არა ერთხელ და ორჯერ ეტყოდა საბრალო მიხეილი თავის ძმას: რადგან სამხედრო სამსახური ავირჩევია, იცოდე შენი წმინდა მოვალეობა შენს სამშობლოს ემსახურო, არამც და არამც შენი მახვილი შენს თანამომეხედ არ იხმარო. აი სწორედ ეს სიტყვები გულში ჰქონდა ჩამარხული კოლას და სწორედ იგრეც იქცეოდა. თუმცა საბრალო მიხეილი უკვე რვაწლის მიცვლილი იყო კოლა მთლიან ოთხი წელიწადი ოსმალის ომში მხნეთ იბრძოდა, რისთვისაც დაჯილდოვებული იყო ყველა ორდენითა ვლადიმირით და წმ, გიორგის ხმლით. როდესაც დაარსდა ქართული პოლკები, ის 153 ბაქოს პოლკიდან გადავიდა მე-7 ქართულ პოლკში შტაბს-კაპიტნის ხარისხით. საუბედუროდ გაჩნდნ ბოლშევიკები კავკასის გზაზე, სადაც კოლა გაწვეული იქმნა. ბოლშევიკთა განდევნის შემდეგ კოლა დანიშნეს დუშეთის კამენდანტათ აქ მოვალეობის აღსრულების დროს ულმობელმა სიკვდილმა მარიამობისთვის 10 გამოაცალა წუთისოფელს ეს სამშობლოსათვის თავდადებული გმირი ოფიცერი. დაკრძალულ იქმნა თბილისში დიდუბეში, კაპ. საყვარელიძის გვერდით. აქ ერთმა ოფიცერმა გრძნობიერი სიტყვით დაახასიათა იგი, ვითარცა გმირი, შეუღარებელი და ნამდვილი იშვიათი მეომარი. დუაიწყარი იყოს ხსოვნა შენი, ჯერ კიდევ გაუხარებლო მამაცო და სამშობლოს ერთგულო შვილო ძმო კოლა!

ულმობელმა სიკვდილმა არ შეიბრალა საწყალი ქართველი დედა, რომელმაც სამშობლოს გამოუხარდა ორი გმირი სიცოცხლით სავსე შვილი. მიხეილი და კოლა კიკნაძენი მხნე და მუდამ დაუზარელი მიხეილი დაუცხრო მლად მუშაობდა სოც-დემერალიტთა პარტიაში რომელიც ცხრასიან წლებში გაიგზავნა პარიზს, სადაც იმან ითარა არაოველო ჟურნალ „საქართველოს“ გამოცემა და მხნეთ განაგრძობდა ამ წმინდა მოვალეობას. როდესაც საფრანგეთი დანაბრუნდა, სახლშიუკვე სამხედრუშეთის კომენდანტი, გარდ. 1918 წ. დრო სამსახურში აჩრიცხული აფიცრიმა კოლა დახვდა. არა ერთხელ და ორჯერ ეტყოდა საბრალო მიხეილი თავის ძმას: რადგან სამხედრო სამსახური ავირჩევია, იცოდე შენი წმინდა მოვალეობა შენს სამშობლოს ემსახურო, არამც და არამც შენი მახვილი შენს თანამომეხედ არ იხმარო. აი სწორედ ეს სიტყვები გულში ჰქონდა ჩამარხული კოლას და სწორედ იგრეც იქცეოდა. თუმცა საბრალო მიხეილი უკვე რვაწლის მიცვლილი იყო კოლა მთლიან ოთხი წელიწადი ოსმალის ომში მხნეთ იბრძოდა, რისთვისაც დაჯილდოვებული იყო ყველა ორდენითა ვლადიმირით და წმ, გიორგის ხმლით. როდესაც დაარსდა ქართული პოლკები, ის 153 ბაქოს პოლკიდან გადავიდა მე-7 ქართულ პოლკში შტაბს-კაპიტნის ხარისხით. საუბედუროდ გაჩნდნ ბოლშევიკები კავკასის გზაზე, სადაც კოლა გაწვეული იქმნა. ბოლშევიკთა განდევნის შემდეგ კოლა დანიშნეს დუშეთის კამენდანტათ აქ მოვალეობის აღსრულების დროს ულმობელმა სიკვდილმა მარიამობისთვის 10 გამოაცალა წუთისოფელს ეს სამშობლოსათვის თავდადებული გმირი ოფიცერი. დაკრძალულ იქმნა თბილისში დიდუბეში, კაპ. საყვარელიძის გვერდით. აქ ერთმა ოფიცერმა გრძნობიერი სიტყვით დაახასიათა იგი, ვითარცა გმირი, შეუღარებელი და ნამდვილი იშვიათი მეომარი. დუაიწყარი იყოს ხსოვნა შენი, ჯერ კიდევ გაუხარებლო მამაცო და სამშობლოს ერთგულო შვილო ძმო კოლა!

მ. მთიულეთი



ახალგაზრდ მწერალი



ილია მოსაშვილი



გიორგი ძამანაშვილი

მთ. სახელოსნოს მუშა, საქართ. რესპუბლიკის რკინისგზელთა 1-ლი ყრილობის თავმჯდომარე, ერთხმ. არჩეული, მთ. სახელოსნოს აღმასრულებელ კომიტეტისა და გვარდ. შტაბის თავჯდ. შეგნებული მუშა და ნიჭიერი აგიტატორ-ორატორი.

სისხლი და სრეაქცია

ახ.. რა მწარეა ყოფნა სოფლად.. და რა მიძიმეა..  
სისხლის და ცრემლის ოკეანედ ქვეულა არე..  
მთელი ქვეყანა რაღაც ცივი.. ბნელი მღვიმეა,  
სულში ოცნების ლამაზ გრძნობებს სწვავს სიმწუხარე..

აქ ძმა--ძმასა ჰკლავს . დედასა ჰკმობს შობილი შვილი,-  
სამშობლოს ჰყიდის, ვით იუდამ ქრისტე გაჰყიდა...  
ყველგან ობლობა.. და უგულო მკვდარი სიკვდილი...  
ყველგან სხვისა ჰლევს სიყვარულის კანდელი წმინდა...  
კაცს ვერ შეგვრები..—ყველა მხეცად გადაქცეულა..  
თვალს ვერ მიავლებ, რომ არ დაგზვდეს ბოროტი გველი...  
თითქოს მსოფლიო რაღაც ჭირმა დაასნეულა,—  
ისეა ცივი.. საზიზღარი და საზარელი...  
ვინცა გგონია გულის ტოლი და მეგობარი,—  
ყველაზედ-მეტადისა გმუხთლობს—მანვილს გილესავს...  
ვერსადა ჰპოვოს არსმა ფიქრის თავშესაფარი...  
ყოველი წამი ტანჯულს სულში სიმწარეს სთესავს...  
სატრფოს ვერ ჰპოვებ, თუნდ ხმელეთი შემოიარა.  
ვერვის განდობ გულის ზრახვებს.. წყლულებს.. იარებს...  
არავინ არი—ზავშიადი გაუზიარო,—  
ყველა მხოლოდ ცრემლს.. მეგობრის სისხლს გაგიზიარებს...  
გრძნობას გაუყოფ და დაგზვდება ღალატი მხოლოდ...  
სატრფოსთან მიხვალ—და დაგზვდება მის ნაცვლად გველი  
თითქოს ქვეყანა ეს წყეული... განუსაზღვრელი  
შობილა ტანჯვის და სიკვდილის ბოროტ სიმბოლოდ...  
ახ.. მოკვდეს ბარემ... სასაფლაოდ იქცეს მთა—ბარი..  
დაბნელდეს მზე, რომ აღარ დარჩეს არც ერთი არსი...  
მიწა დაირღვას.. არვის დარჩეს თავშესაფარი,  
რომ აღარ იყოს სიცოცხლეში ეს შინაარსი..


მოკვდნენ ქვეყნები—ნკრევის ცეცხლში კენესით და ზარით...  
დავრჩე მე ერთი.. როგორც გიყი ჰკვა არეული...  
როგორც სატანა—ბელზებულმა ცივი ხარხარით  
მარტოდ ვიგლოვო მთა და ბარი ნაცრად ქვეული...

ი. მოსაშვილი



თავისუფლებებისთვის წამებული ცხინვალში გიორგი მაჩაბელი.





ქართული  
ბიზნიუსი




თავისუფლებისთვის წამებული ცხინვალში სანდრო კეცხოველი.

**ამ სოფლის სტუმარს**

ფერ მიმკრთალ სახეს მზის სხივები ააელვარებს,  
 ღამის აჩრდილებს მზის ამოსვლით დავემუქრები...  
 ამ სოფლის სტუმარს უკვდავება გმიღებს კარებს...  
 ამ სოფლის სტუმარს უკვდავება მწამს შემეყვარებს...  
 „და სინამდვილე თვით ლეგენდად გრდავიქმნები“...  
 წრფელი ლოცვები ჩემთ ბაგეზედ ვით გაცივდება...  
 ვინ ჩაჰკლავს ჩემში მძლე სურვილებს მზიურ ოცნების?...  
 ჩემში სიცოცხლე საყვარულით გახანგრძლივდება  
 ჩემს სულში ტრფობის ვარსკვლავები, მზე აინთება...  
 და ვინ გაბედავს, ვინ მიიღერებს ჰანგს დამარცხები!?!  
 მარადისობის მზე ინათებს მუდამ ჟამს ჩემში...  
 უსაზღვროება მზს ოცნებით დაათრობს თვალებს...  
 და მე ვიქნები ტრფობის ღმერთი თვით სამარეში..  
 ბევრი, სულ ბევრი ჩემგანთ შეთხზულ უცხო მხარეში  
 სულს ჭეწუხებულს, სულს ავად მყოფს შემოათარებს!..

დ. დოლიძე



**სოლომან ახვლედიანი**

1-ლი ქართ. ლატარიის დირექტორი, რო. მელმაც პირ. გამოსტქ. აზრი (ვაზ. „საქ“) ქართ. ლატარიის მოწყობის შესახებ, ამ ჟამად ლატარიის საქმეს ხელმძღვანლობს.

**მათრობს მიზიდავს...**

ჰზიბლავს, იმონებს ჩემსა გონებას კაშკაშა მთვარე,  
 მივჭჭერი ოცნებით ცის ტატნობზე პირ-მომღიმარე...  
 და გადავლახე საზღვარი ჩემი ტურფა ქვეყნისა,  
 მათრობს მიზიდავს ვარსკვლავთ სიჭრელე მშვენიება ცისა  
 ჰოი, სამყარო, საუნჯევი სიბრძნის, მიუწლომელო,  
 კაცთა გონების მხრბლავ წარმტაცო და მის მფლობელო.  
 შენში მარხია სულის სიმშვიდე და უკვდავება,  
 შენ ხარ მნათობ, კაცთა გონების და ზედვთაება.  
 მეც შენში ვბოვე სულის სიმშვიდე, აღფრთოვანება,  
 შენში ჩავმარხე ჩემი ფიქრები, აზროვანება!..


ვარლამ ჩლაიძე.



**ვუდრო ვილსონი**

ამერიკის პრეზიდენტი, რომლის პროგრამის სწარმოებს საზავო ლაპარაკი.





ს ა ს ე ლ ე წ ი უ მ კ ი მ ს ვ ე ბ ი

რიცხვებივი გამარჯვება--  
ზნეობრივი დამარცხება.

ბრძენი არ შესცდეს,—რღვევნი კლდეს  
გადიჩებოსო, სწორედ ამ ანდაზის ამბავი  
მოგვავიონა საქართველოს დარბაზში (პარლამენტში) ბოლოს დროს ეროვნულ უმცირესობათა ენის ხმარების შესახებ გადაწყვეტილმა საკითხმა.

საქართველოს კანონმდებელ უზენაეს საბჭოში, ქართველი ერის აზროვნება-გონებრივობის ბრძმედში, ქართველთა თვითარსებობის გამომხატველ დაწესებულებაში რუსული ენით ვიკანონმდებლობთო...

საიდან სადაო—წმიდა საბაო?!

აქედან და იქიდანაო, რომ ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენელთ ჩვენი სახელმწიფოს ენა არ იციანო!

ფიე, ხათა! ეგება მათ თავისი სამშობლო ენაც არ იციან, მერე ჩვენი დემოკრატია, ქართველი ხალხი და საქართველოს დარბაზი აქ რა შუაშია?! დემოკრატია, რომელმაც მხოლოდ თავისი სამშობლო—ქართული ენა იცის, ქართველი ხალხი, რომელიც მონატრეა თავისი მშობლიური ენით იმეტყველოს და ღდენის ამის შემდეგ თავისი ბედ იღბლის გადაწყვეტა გადარუსებულ ქართველობას, უცხო „პოვერნიებს“ აღარ მიანდოს ხოლმე!..

ეს არის უდიდესი დანაშაული სწორედ იმ ქართველი დემოკრატის წინაშე, რომლის სახელითაც ასეთ წესებს აკანონებენ!..

მერე ამს შემდეგ რელითი გსუტთ სახელმწიფო დაწესებულებებში ნამდვილი გაეროვნულება (ნაციონალიზაცია) მოახდინოთ?!

მეორეს მხრივ ასეთი წესის დაკანონება დღე შეურაცხყოფაა საქართველოს არა ქართველ ერთა: საქართველოს ებრაელებმა, თათრებმა, სომხებმა, რუსებმა და სხ. ბევრ ქართველ დეპუტატზე უკეთ თუარა, უარესად არ იციან ქართული ენა... და თუ ასეთ კაცებს არა გზაენიან, ეს ჩვენი ბრალი არ არის არამედ იმათი, რომელნიც თავის პირად კარიერა—პატივმოყვარეობაზე უფრო ფიქრობენ ვიდრე საქართველოსზე და ის მკვიდრე არა ქართველებზე..

ისეთ დეპუტატებს, რომელთაც საქართველოს სახელმწიფო ენა არ იციან—ჩვენს საკანონმდებლო დარბაზში ადგილი არც უნდა ჰქონდეთ: სჩანს მათ არა სწამთ და არ

იციან ჩვენი კულტურა, ენა, ხალხის სულიერი ავლა დიდება და მაშასადამე მათ რა უფლება აქვთ ხალხის სახელით ილაპარაკონ?! მართალია, საქართველოს დარბაზში რიცხვით, ე. ი. თითების აწევით ამ უკულმართობამ გაიმარჯვა მაგრამ ზნეობრივად-კი დამარცხდა.

და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ჩვენი ხელმძღვანელი ს. დ. პარტია და საქართველოს დემოკრატია ამ დადგენილებას ხელახლად გადასინჯავს და ისე გადასწყვეტს, როგორც მისი სარგებლობა და საჭიროება მოითხოვს..

ძმანი ებრაელნი.

მოგ ხსენებთ ჩვენს ძველის-ძველ მოძმე ხალხზე, საქართველოს ერთ უძველეს მკვიდრებზე..

ესენია მრავალენაჯულ, დევნილ-შევიწროვებულ, უხსოვარ დროის ხალხის შვილნი ებრაელნი..

შავთა დროთ ვერა შეცვალეს მათ გული ანდამატისა და როგორც ყოველთვის, ახლაც იგეთივე ერთგულნი შვილნი აღმოჩნდნ საქართველოსი!..

ამ ხალხმა თავისი სიბრძნე და შორსმჭვრეტელობა ღდესაც გამოიჩინა და სჯულით მამა-პაპათა მცნებათა მიმდევარი, სარწმუნოებით ისრაელი, ეროვნულად რჩება საქართველოს ქირის დაღბინის მოზიარედ.

წაკითხეთ მათი საზოგადოების „ავღდა ისრაილის“ განცხადება („საქ. რეს“ 1918 წ. № 65) სადაც ისინი თავის თავს საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეებად აღიარებენ და თავის მოვალეობად სცნობენ: „იზრუნონ თავიანთი სამშობლო, საქართველოს რესპუბლიკის კეთილ მომავალზე, მხოლოდ მას მოახმარონ თავიანთი ცოდნა და ქონება, და ყოველ გვარ სახელმწიფოებრივ პოლიტიკურ, ეკონომიურ და საზოგადოებრივ საკითხებში იარონ თავიანთ მოძმე ქართველებთან ერთად ხელიხელ ჩაკიდებულნი“ და სხ.

შეხეთ რა ლამაზად ჩამოაქანდაკეს ებრაელებმა თავისი დამოკიდებულება სამშობლო საქართველოს წინაშე და განა სწავფრიკა შესაძლებელი იყო? ყველგან დევნილი ებრაელნი მარტო ოდენ საქართველოში იყვნენ შეწყნარებულნი, მათ საქართველოსგან არავითარი წყენა არ ახსვთ, სამაგიეროდ არც საქართველოს ახსოვს ერთს ებრაელს მანც ეღალატნა საქართველოსთვის. და ეს ხალხი მუდამ საყვარელი და თანასწარუფლებით მოსილი იქნება საქართველოსი!..





ქართული  
სოციალიზმი

ნუ თუ ამათი განცხადება გამოხმაურებას ვერ ჰპოვებს საქართველოს სხვა ერთა შორის?

**ქართველო გრიგორიანო.**

განა საქართველო ყველა ერთგულ შვილთათვის კეთილი მზრუნველი დედა არ არის? როგორ არა! მაგრამ ეს ვერ შეიგნეს სომეხთა ვითომდა იმ ჭირსუფლებმა რომელნიც საქართველოს ჭერქვეშ თავს იფარავენ, ქართველი ხალხის მიწაწყლით იკვებებიან და მის დასამხობადკი ჩალიშობენ!..

ღმერთმა თავის გზით უშველოთ!.

მაგრამ თქვენ, ქართველო გრიგორიანო, საქართველოს სომეხო, თქვენ, რომელთაც ათ-დან-ბაბადან საქართველოში გიცხოვრიათ, ქართველებთან ჭირი და ღვინი საერთო გქონიათ; თქვენ, რომელთა ენა და კულტურა მხოლოდ ქართულია; თქვენ, რომელთა მზე მხოლოდ საქართველოში ნათობს და საქართველოს იქით არსად სამშობლო არა გაქვთ, ნუ თუ ცრუ ნოდღვრების, სუტეტურა აზგასერების მახეში გაებოთ და თქვენს დედა სამშობლო საქართველოს ისე არ ემსახურებით, როგორც მისი საჭიროება და თქვენი სარგებლობა მოითხოვს?!

თქვენ, საქართველოს სომეხო, ბევრი თვალსჩინო მოღვაწე მოგიციათ ნ. აზიანა, ბ. ახოსპირელი, გ. გველესიანი, ბ. ფანგულოვი ა. ბაჯიაშვილი, შ. ველისციხელი, გ. ფირუმინი, გ. შინატყეხელი, ძველად ასტეაწატუროვი მ. თუმანიშვილი ვიღებ (გიორგი, ტასო, ვასო და სხ.), ჰაზირა ა. თუთაევი, გ. გედევანოვი და სხ ნუთუ დღეს პირში წყალს ჩაიფუბებით და თქვენთა უფლებათა დაცვა წარმოებას უპასუხისმგებლო გადაგვარებულ ვაჟბატონებს მიანდობთ რომელთაც თქვენი ქართული არც ენა იციან, არც ზნე ჩვეულება, არც ნამდვილი ეროვნება და სჯულის გამო ჰაისტანის სოხებათა გთვლიან.

ღროთ შემოკრბით დედა საქართველოს ირგვლივ და ქართველთა კალთა გულ წმინდათ და მაგრა დაიჭირეთ, თუ თქვენი სიკეთე ბედნიერება გინდათ, თორემ მერე გვიან იქნება თითზე კბენანი... ქართველი ხალხი თანდათან ერკვევა ღრმა ძილისაგან და თავის უფლების შელახვას ვერც ადვილად არავის აპატებს!.

იოსებ იმედაშვილი

**პრეა საქართველოს**

მწაწინა კარგა ბავშო შენ გენაცვალოს დედა,  
შენ რომ გხედამს დედა შენი სიხარულით ბნდება.  
მწარე სიტყვა, ღანძღვა, წყევლა, არა დროს გაკვირდა,  
ამიტომ შენც გამართებს მშობელს აქნა ყურადღება.  
შვილის აღზრდა ძნელი არის, მშობელს ძვირათ უჯდება,  
თუ ვარგისი არ გამოხვედ ჭირნახული წახდება.  
გაიზარდე, დაჯაყვადი გინძოთ რემირე გამბედავო,  
ვინც შეგნოს შენს სიცოცხლეს მეხი ეტყოს თავსუდაო,  
ბევრი ვიფებდე შენთვისა, რომ მოგაშარო სეგდაო,  
მეტისაც ნებს არა გაქვს, ტანჯულს დადაჯულს შედავო.  
ვინც მტრები ბევრი გეგანან, იმათ ცეცხლი ედებაო  
მაგრამ ღმერთი მოწადალა კეთადათ გათავდებაო.  
თრმოდნათი წელია ჰაზირა შენთვის კვდებაო,  
მარად შენთვის თქვამბს, ზრუნავს ხემა წმიდათა წმიდაო!...  
ჰაზირა



ანდრანიკა  
სომეხთა ერ. გმირი. გაზეთების ცნობით, ზანგეზურში მოშულ.

**სოციალისტური ქაზხე.**

ცრემლს აფრქვევდა დედა, როს მშვა და სიხარულს ეძლეოდა.  
ცრემლს აფრქვევდა ტურფა ქალი, ოდეს გრძნობით მეგვეოდა.  
ცრემლს აფრქვევდა სიყვარული, ცრემლს აფრქვევდა ცხოვრებაცა,  
ცრემლს დამაფრქვევს ვგონებ კუბო, ჭია-ღუა და მიწაცა...  
ს. ერთაწმინდელი





# ბაცილები

1

გაზაფხულის ვარდს განთიადის სხივი ჰკოცნიდა. თმა გაწეწილი სუსამბარი დედამიწას დილის ლოცვას სწირავდა და სურნელოვან ოხერით იფრქვევოდა გარემო იმ დროს, როდესაც მანლობელ სარკმლის კართან ბაცი ლა ბაცილას ესაუბრებოდა...

— „აქ რამ მოგიყვანათ?!“ განცვიფრებით შეეკითხა ერთი მათგანი.

— ჩუ!.. ფრთხილად... მე მხოლოდ სარკმლის გაღებას ველი... აი მთელი საათია ვარაკუნებ კარებს და არ ვიცი, რა დავმართათ ჩემს მეგობართ, არავინ მიღებს კარს... ალბათ ძლიერ გართულნი არიან საქმეში.

— „რად მიიკლავ თავს ოთახში, განა ვინ იმყოფება ოთახში?“

— „ხა! ხა! ხა!.. აი წარმოიდგინე, შენ აქაური მცხოვრები იმდენად დაუდევარი ჰყოფილხარ, რომ ერთხელ არ მოიწადინე და არ შემოიხედე, თუ რა ჰხდებოდა ამ პატარა და მყუდრო ოთახში. მე კი, — თავმომწონედ წარმოსთქვა მან: — საზღვარგარეთიდან მოველი მის სანახავად?“

— ღმერთო ჩემო, საზღვარგარეთიდან!..

— გცხვენოდეს... გცხვენოდეს, გაუნათლებლო და შეუგნებლო... მერე ასე ასრულებ შენს მამულისადმი მოვალეობას? რამ დავაზარამცათ? რად იჩიუნებთ გონებას — მე ვერა გამიგია... რაშია საქმე?

— გაიგებ, მხოლოდ გვიანლა იქნება... ნუ თუ არ იცი, რომ აქ ის ადაშიანი ცხოვრობს, რომელიც დაუღალავად ძიობს ჩვენს საიკვდილო მიზეზებს?! ჩვენს სიცოცხლის მოსპობას?.. დიან! საბრალონი ვართ ჩვენ წარჩინებულნი თქვენ, უეცრთა, წინაშე... რას აკეთებდით მაშინ, როდესაც თქვენ წინააღმდეგ წამლებსა სთხზავდა?.. რაღა მიეცით დრო, რად მიეცით ნება აღსრულებაში მოეყვანა თავისი მიზანი?..

ღმერთო, ვეღარ მოუსწარ; გზაში მრავალი დებრკოლება შემხვდა... გვიან მოველ, მაგრამ მაინც დეე იწვნიოს ჩვენი ძალი... დეე წაწალი მისი დარჩეს ისე ქაღალდის ფურცელზე, მას კი ფეხები გავაჭიმინოთ... აგერ სარკმელს ადებს.. ჩჩუ!... მომეცალე...

2

მართლაც გაიღო სარკმელი... გადმოდგა მაღალი სახე ყვითლად დაფერილი, თმებ მხრებზე გადაშლილი და სამარისებური მიაჩერდა ტურფა გაზაფხულს: — „რა სილამაზეა... რა მომხიბლავი დილაა.“ და აუტყდა ხველა. ახველა დიდხანს, ახველა იქამდე, სანამ დაუძლურებული და ცოცხალ-მკვდარი არ დაეცა მძიმე საწოლზე.

— „ჰი. თვალი დაგიდგა!.. მაშ როგორ გეგონა... ჩვენი მოსპობა გსურდა?.. მაშ მოკვდი თუ კარგია. სიკდილისათვის... — მიაძახა ახლად მოსულმა ბაცილამ.

მეზობლის როილის ხმამ ახმაურაუეცარი მღუმრეზა... მუსიკის ტუბილმა ხმებმა, მწყობრმა ცეკვამ გამოაფხიზლა სიკვდილის პირს მიყვანილი მეცნიერი და შევებით ამოაკვნესა:

— „ეჰ, მარი!.. მარი, დაუკარ — შეიძლება უკანასკნელად ესმოდეს ეს საოცნებო მუსიკა ჩემს ყურს!..“

— ღმერთო კიდევ ცოცხალია... სულელი სიკვდილის პირს, სამარის კართან სდგას და მაინც თავისს არ იშლის... თავის სატრფოს ენაუბრება. რა უგუნური ყოფილა ადამიანი... ხა! ხა. ხა. მომითმინე ერთი ჭამიცი... მომითმინე... ნო ასე...

— „მიშველეთ... — სამარის ხმით ამოიძახა მომკვდარმა ჰაბუკმა-მეცნიერმა და მის ხანგრძლივ ხველას შეთანხმებით აუყოლა სატრფომ მუსიკის ფერხ ული...“

3

განვლო წამმა მწუხარებისამ და კვლავ სიცოცხლემ შეანათა ჰაბუკის მიმქრალ თვალებში. გადაჰხედა მაგიდას სადაც შენიშნა თავისი უკანასკნელი ფურცელი შემოქმედებისა და ტუბილი მლიმარებით წარმოსთქვა:

— მე შევესრულე ჩემი მოვალეობა... ამით შევიძინე ჩემს საყვარელ ერს ი, ის, სიცოცხლე, რომლის ძებნაში მოვსებ ჩემი საკუთარი... ყოველ დღე ითვლება ჩემი ყოფნის წამები... იერემიის ცრემლი სწვავს ჩემს თვალებს, იერემიის გოდებით ვიხმობ ღვთისწიერ პირთ ჩემდა საშველად, მაგრამ ამაოდ: არავის არ სწვდება ჩემი სიტყვები... უფსკრულის სიღმრეში იმარხება განწირულის ხმა; იმ სირღმეში სადაც დღეს თუ ხვალ ჩავსვენება ჩემი ყოფნის ლეგენდა...

ხველამ დაასუსტა... ხველამ ჩაალოვინა დაუძლურებული.

დრო მაინც მიდის... ბაცილები მოძრაობენ...

... ჰეი, მკურნალო შენს ხელთ არის ჰაბუკის სიკვდილით გადარჩენა...

ბაცილებს არ სძინავთ... მკურნალო განდევნე იგი-ნი ჰაბუკის სხეულიდან... მიქელ დიანელი.



ტიგრან ნაზარიანი

სომეხთ სამხატვრო-სახელოვნო საღონის დამფუძნებელი და რედაქტორი. გამომცემელი სომ. ჟურნალ „რასხაგებიურისა“ და „ვან ტოსპის“, ლტოფილთა სკოლის დამფუძნებელი, საქართველოს ბექდვითი აიურის თავმჯდომარე, ცნობილი საზოგადო მოღვაწე. მისი საღონის მე 13 ე სუბონი დაიწყო გასულ შარსსკვეს. ს დამო მიძღვნილი ჰქონდა საქარველთს.





# ცხოვრების გზაზე

სევდამ მშობა, სევდავე მზდის,  
სევდა მიმღერს სევდის ნანას!  
ვინ მიხვდება, ვინ გამოსცნობს  
ჩემ ცხოვრების გამოცანას!..

დ. ზანჭათელი

დ. ზანჭათელი  
(დათიკო გოგუაძე)

## ს რ მ მ ლ ე ბ ი

თქვენ ვერ იცნობთ ჩემ შავ ფიქრებს, ვერც ჩემ ცრემლთა კრიალფსანს,  
ვერც მიხვდებით რა აშფოთებს და გულის უკლავს ერის მგოსანს!

თქვენ არ იცით, თუ სად არის დასაბამის დასასრული!  
და ამ ქვეყნის გამოცანას რად დასტირის მგოსნის გული..

ვერც მიხვდებით, ვიფიქრე, ვერა, ამ ჩემ ცრემლის საიდუმლოს,  
ვერც გამოცნობთ ჩემ სიტყვების მთავარ მიზანს, მთავარ კილოს!

და როდესაც ზღვა ცრემლები დათაფლავენ ამ ჩემ თვალებს,  
და ცრემლთ ფრქვევით მოფრთქვამ, ვსჩივი მე ამ სოფლის სივკლავსს,  
მაშინ მხოლოდ შემიბრალვით, მაშინ მხოლოდ იტყვიან ასე:  
„ეჰ, საბრალის აღბად უჭირს, თორემ რისთვის მასთქვამს ასე?

და თქვენ ფიქრობთ: მართალია თქვენი აზრი ჩემს ცრემლებზე  
თითქმე ვგოდებ, და მე ვსტირი ჩემს საკუთარ საცოცხლებზე!

— არა, არა! ჩემი ცრემლი თქვენს ცრემლებსაც ნათესაობს,  
მაგრამ იგი ჩემთან არის, ჩემს დაზღვრებას ცდილობს, ღამობს!

და როდესაც რითმასა ვქმნი, რითმას ლექსის გასაწყობად  
მაშინ იგი, მუზის სახით, ჩემთან მოდის ამის მთხრობლად!

მაშინ ვმონებ მე ფიქრებსა შავ სამოსში გამაწყობილს!  
ხან დამფრინავს ვრცელ სივრცეში, ხან ერთ ადგილს დახვარ სობილს!

და მეც ვეგები იმთ სრბოლას, მეც უმიზნოთ ვეხეტები!  
და ვმორდები დღამიწას, ვიყინები, თითქმის ვეგდები!..

და თქვენ იცით ამ დროს ცრემლი როგორ მომეაღერებსა?  
მოდის ჩემთან, გულის მიხებს, თვალზედ გადმოშეკიდება!

და ის არის შეგება ჩემი, ჩემი არსი და სიმბოლო,  
მასში არის ჩემი ყოფნა, მასში არის ჩემი ბოლო!..

2

## შ რ მ მ ი ს ს ე ლ ი

შრამის ხელი სადაც არის, სადაც არის შრამის ძალა!  
სადაც მუდამ ცეცხლი დვივისა, ყოფნის ქურა არ გამქრალა!

აი იქა თქვენ იმაგათ დაუშრეტელ ყოფნის წყაროს!  
რადგან მუშის წრთელი ცრემლი აქვე უნდა დაიდვაროს.

აბა, რაა, უშრამელოთ ეს სიტყვებო, ამისხენით,  
რატომ ხშირად მოსთქვამთ, მტოდებთ წარსულს, აწმეოს, თავის ქნევით

თუ არ შრამობ, იყინები მსგავსი მგდარი წერტილისა,  
ეს სომ ყოფნა არ ყოფნაა, მიმგზავსება საკვდილისა!

ამ დრო-ყამის დღის მშვენებას აფერადებს ყოფნის გრდემლის  
გაუმარჯოს მუშის მკვას! დაილცრც მუშის ხელი!

დ. ზანჭათელი



პაპიტანი შალვა ოქროპირიძე  
ქართ. ლეგიონის I ასეულის უფრო-  
სი, თანამშრომელი „ქართ. ვახე-  
თი“-ა გერმანიაში.


## მოვალეობის მსხვერპლი



პოდ. ლადო ჯამლ. ძე წილოსანი  
სამხედრო სამსახურში მსახურებდა  
რვა წელს. ომის დაწყებისთანვე მონა-  
წილეობდა გერმანიის ფრონტზე. მოს-  
მალეთისკენ და სს. ასპარეზზე ოთხ-  
ჯერ დაიჭრა და გმირობისთვის უწამ.  
გიორგის ოთხივე ჯვარი მიიღო, ბო-  
ლოს დროს დანიშნეს ლანჩხუთის  
კომისრად. თათართ შემოსევის დროს  
საკუთრივ შედგენილ რაზმით ჩაქვის  
თავზე მონაწილეობდა. კომისრობაში  
მოვალეობის ასრულების დროს, რო-  
ცა ხალხს წესიერებისკენ მოუწოდებ-  
და, უგუნურო ტყვიით გული გაუგმი-  
რეს აგვისტოს 18. ხსოვნა მისი სამა-  
რიდისო იქნება.







**საქართველოს ბანკის მუშაობის**

**1832 წ. ფართული საზოგადოება**

(გაგრძელება იხ. თ. და ც. № 13)

ქართველებში თითოულათ ყველა გრძნობდა საქართველოს დაქცევას 1824 წლიდ.მ, ხოლო მის გამოთქმას ვერავინ ბედავდა, ვერავინ ახერხებდა ხმის ამოღებას. ყველა ქართველმა-კი შეიგნო, რომ ქართველნი ჯერ ვაკატრინე იმპერატრიცამ მოატყუა როცა ამან 1783 წ. ერეკლე მეფეს ტრაკტატი დაუწერა და ეს პირობა-კი მან სულ არ შეასრულა. ასევე მოხდა შემდეგაც: ქართველნი მოტყუებულნი იქმნენ როგორც პავლე იმპერატორისაგან, ისევე ალექსანდრე იმპერატორისაგანაც 1801 წ.

რაც ხანი გადიოდა, მით ქართველებში რუსეთის მთავრობის ბოროტებს საპასუხო შეგეცნება უფრო და უფრო ფართოვდებოდა. ამ გარემოებამ და სამართლიერმა პირობებმა 1830 წლამდის უკვე იპოვნეს თავისი დიდი პატივის მცემლები, ერთგულად ყურადღების მამპყრობ და თავდადებული მამულის შეიღნი, რომელთაც რუსეთის მთავრობის ვერ დასთმეს და გადასწყვიტეს ან „ხო„ და ან არაო: თუ ქართველნი ვართ, ვიყოთ ისეთ ცხოვრებით როგორც 1806 წლამდის ვიყავით, თუარა და ასე ყოფნა ჩვენ არ გვინდაო.

ამის გამოსახვა პირველათ პეტერბურგში მოხდა პატონიშვილთა შორის, ბერის იოვ. ხელაშვილის მეთაურობით 1820 წ. ეს გამოძახილი, ამ დრომ 1824 წლამდე დარჩა საიდუმლოდ ხოლო უკანასკნელ ამ გამოძახილის ერთგული მონა განდა ფილ. კიკინაძე ბერი, რომელიც დიდი მოტრფიალე იყო ივანე ხელაშვილისა და მასთანვე გაჩნდნ სხვანიც და ყველაზედ უმთავრესათ-კი სოლომონ დოდაშვილი, ნათესავი ივანე ხელაშვილისა, პირველ იმ ქართველთაგანი, რომელიც საქათველოდან რუსეთის უმაღლეს სასწავლებელში უნივერსიტეტში პირველად წავიდა მოწაფეთ. სოლომონ დოდაშვილს უნივერსიტეტში შესვლისთვის დიდათ დაეხმარა ივანე ხელაშვილი. სოლომონ დოდაშვილი რამდენსამე ხანს ამ ბერთანაც სცხოვრებდა. უნივერსიტეტში სწავლა დაამთავრა 1827 წ. ივ. ხელაშვილის რჩევით. მან რუსის ქალი შეირთო და საქართველოში დაბრუნდა ცოლით 1828 წ. უნდა ითქვას კავკასიის აქტებიც“ ამტკიცებს-რომ 1832 წ. „საქართველოს განთავისუფლების“ პარტიის მეთაურთაგანი, თითქმის პირველი პირი სოლომონ დოდაშვილი ყოფილა თითქმის ამას დაუარსებია ეს პარტია, ამას შეუქნია მებრძოლი გმირები და ყოველივე თურმე სულ ამ სოლომონ დოდაშვილის ნამოქმედარს შეადგენს. ესლა ჩვენ შეუდგეთ ამ პირის ცხოვრების სადათ მოკლეთ აღწერას და ამასთანავე მის სხვა ამხანავისა და პარტიის წევრთაც, რომელთაც ამ საქმეში მონაწილეობა მიიღეს.

**ზ. შიშინაძე.**

(გაგრძელება იქნება)

**ჩვენი ნაინა**

აწ იფიზზე გენაცვალოს შენი მშობელიო, — აგშორდეს ვნება, ზიანი, ბოროტი ხელიო. რაც იძინე, გეყოფა, ტანჯვაც იკმარეო; მჩავგრელი ხომ დაგიმარცხდა, შენ გაიხარეო. გამხნევი და გაიზარდე პატარა მთვარეო, ვაჟკაცურად დაიცივი სამშობლო მხარეო.

**ვ. კირვალიძე**

**შეპლური შემოსევა**

11-სექტემბერს დიდი მთავრის ქუჩაზე № 45 დილის 5-4 საათზე ჩვენს მოხუცს ქველმოქმედს ზაქარია ნეფარიძეს თავის ოთახში თავს დაესხა სამი შეირადებული (მილიციონერისტანისამოსში) შესვლი სათანვე ხელები გაუკრეს თოკით. ერთი მათგანი თავზედ დაადგა, მეორემ გაჩრჩიკა, მესამემ კი კარი გადიკეტა და კარში დარჩა დარაჯად. როდესაც ფულები და სხვა ნივთები იპოვნეს, გამოვიდნ ოთახიდან, კარები გარედან გადაკეტეს და გაუღვენ გზას. შიშისგან თავზარდაცემული მოხუციფანჯარაზე თავის რახუნით და ყვირილით ეძახდა მეზობლებს. მეზობლები ამ ხმაურობაზედ გამოვიდნენ, გაუღეს კარები შეშინებულმა მიაძახა: —, „მიშველეთ, გამცარცვესო! „მეზობლები დაედვენენ მაგრამ ამაოდ, ვერ იპოვეს. იმ წამსვე ვაცნობეთ კომი სარიატში დარაჯს, უფროს მილიციონერს, რომელმაც დაწერა ქუჩა და სახლის № და ასე გვიპასუხა: ესლა აქ არავინ არის, 10 ს. მოვლენო შემდეგ სისხლის საქმეთა მილიციას გამოვიწვიეთ, რომელიც მოვიდა 11 ს. ოქმი შეაყენეს და რა ზომები მიიღეს არ ვიციო.

წაიღეს ბევრი რამ, მხოლოდ ამ სტრიქონების დამწერის ხელით გამზადებული და წინამძღოლობით შესატანათ შაბათს 14-სექტემბერისთვის, ქალაღში შეხვეული ცალ-ცალკე წარწერით: ქართ. უნივერსტეს 5000 მან ქართ. მუსიკალურ საზოგადოებას 2000 მან. ქარ. სიმღერების და საეკლესიო გალობის ნოტების დასაბეჭდათ (რომელიც არის ჩემ მიერ შეგროვილი სხვადასხვა ქარ. კომპოზიტორების და ლოტბარების ნაწარმოები) 3000 მან. ქ. წ. კ. ს.: 1500 მან. ქართ. მწერლების თხიზულების გამოსაცემად, რომელიც არ არის დაბეჭდლი, შუქრუთის სამკითხველოსთვის სხვა და სხ. წიგნების შესაძენათ 1500 მან. შუქრუთის მიძინების ეკლესიისთვის 2000 მან. (საკურთხეველის შანდლის და ზარის შესაძენად). ეს ფულები გახლდათ სულ ნიკოლოზის სოფელში ქვრივი დისთვინ გასაგზავნად 2000 მან. მეზობლის მიბარებული შესანახად 2000 მან. ეს ფულები კი ბონები იყო. ანათგარდა თიხის პატარა საფულე, რომელშიაც იყო რამდენიმე ოქროს 5 მან. ვერცხლის მანათიანი ათშაურიანები ბევრი ვერცხლის ჯვარ-მენდალი, რუსის სალდათებისაგან სამახსოვროთ ნაჩუქარი და ოქრობეჭდები, რომელიც უნდა შეეწირა ხაზინის ფონდის გასაძღიერებლად და მრავალი სხვა ფული. ეს ქველმოქმედი კაცი არის ის ზაქარია ხ. ნეფარიძე, რომელმაც დაარსა ორი სამკითხველო თავის სახელობაზედ ერთი სოფ. შუქრუთს (თავის სამშობლოში) და მეორე პატარა ხონში (შორაპნის მაზრა).

**დავით კუჭაიძე**





### წ ვ რ ი ლ ი ა მ ბ ე ბ ი

**ახალი დრამატ. დასი.** ქარ. დრამ. სახ-ის თაო სნობით შემდგ. გ. ჯაბადრის ხელმძღვანელობით, არა ჩვეულებრივის ხალისით ამზადებს პიესებს. პირველ წარმოსადგენ პიესის რეპეტიცია თითქმის 150ჯერ გამართეს და პიესა ზეპირად შეისწავლეს. ასევე ამზადებენ სხ პიესებს. დასში უმეტესად ახლგაზდა ინტელიგენ. ძალნი არიან. წარმოდგენა დაიწყება გიორგობისთვის 10-დე.

**მსახიობთ კვშირის** თაოსნობით თბილისში სდგება მეორე დრამ. დასი განსაკუთრებით ძველ მსახიობ.

**ქართული ლატარი ს** გამგეობამ თვის საპატიო წევრად აირჩია მარ. რამიშვილისა და მ. ხოშტარიასი.

**ლატარიის რწმუნებულად** ბორჩალოს, თიონე თის და დუშეთის მაზრებში ლატარიის გამგეობამ აირჩია დიმი. ჭიბარბიშვილი.

**ლატარიის საგანგებო კომისია** დასავლეთ საქარ თველოს დაბა-ქალაქებისკენ გაემგზავრა გასულ კვირას

**დრამატურგი ტრ. რამიშვილი** სწერს ახალს კომედიას ჩვენის უკვდავ მარადიულ ცხოვრებიდან.

**ქველმოქმედებითაც** ემბარებიან ქართ. ლატარიას: აკაკი ხოშტარია ლატარიას ნალ. შესწირა 50,000მ, დიკ. 1000,000 მ. ბილეთები, ხოლო მისმა მეუღლემ 25,000 მანათისა; ნოე სიხარულიძემ შესწირა 25000 მან. ბილეთები შეიძინა 25000 მ.

**სახალხო თეატრში** სეზონი დაიწყო.

**პიესა „მორწილის“** დასასრული ტენიკური მიზეზით ამ ნომერში ვერ მოთავსდა, დაიბ შემდეგ ნომ

**ბათლომე ბასილას ძე ლომთაძის** პატივისცეულად ტრასია ვარჯანაძემ გვირგვინის ნაცვლად ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება“ ერთი წლით გაუწერა თბილისის რკინის გზის კონსტრუქციების სამკითხველოს ზოგი ერთი წლით სოფლის სამკითხველოს.

**ს. ხაშში** ადგილობრივ მოწაფეთა დასმა დასდგა ი. გულისაშვილის 4მოქ. პიესა „ცხოვრება ბრძოლა“ როგორც შეეფერებათ მოწაფეებს პიესა კარგა ჩატარ. კარგები იყვნენ: ქ-ნი ტ. ხაბაზიშვილი, ქ. ლალიძე, ვ. ბუმბიაშვილი, არა უშავდა თ. თევდორაშვილს, ბ-მა ვ. ლალიძემ ტ გ. ნახუტრიშვილმა კარგა დაგვისურათეს თავიანთი როლები, კარგები იყვნენ: ვ. ნახუტრიშვილი, ი. მესხაშვილი, ს. ქოქრაშვილი. გ. გულიაშვილი. შ. ნახუტრიშვილი.—ხალხი ბევრი დაეს, შემოს. 23 თუმანი იყო თეატრის და წყლის ფონდის.

**შალი**

### რედაქციის გან

გაზეთ „სახ. საქმე“-ს 343 №-ში დაბეჭდილია: „ჩვენ გვთხოვენ გამოვაცხადოთ შემდეგი. გიორგი ვახტანგიშვილის საქმე. რომელსაც ბრალდება ფულის გატაცება და მაუდის სუფრის მოპარვა, მესამე მომრიგებელ მოსამართლეს არ გაუზრუნველდა და არ გაუპართლებია იგი, როგორც ამის შესახებ ნათქვამი იყო „სახალხო საქმის მე 315 №-ში. საქმის ვითარება მოკლეთ ასეთია როდესაც გიორგი ვახტანგიშვილი შეიპყრეს მეათე უბნის მილიციონერებმა, აღმოჩნდა, რომ იგი ნამდვილად სცენის მოყვარე გიორგი ვახტანგიშვილი კი არ არის, არამედ რუბენ ვახტანგიანცი, რომელსაც თავი სცენის მოყვარედ მოჰქონდა, ატყუებდა ყველას რომ „თეატრის და ცხოვრების“ რედაქციის სასარგებლოდ წარმოდგენას მართავს და ამ მიზნით ფულს აგროვებდა. შეპყრობილი

დამნაშავე რუბენ ვახტანგიანცი, გამოძიებისას ცხადსცეს, რომელმაც განთავისუფლა იგი თავადების ქვეშ, ხოლო საქმე გამოძიების შემდეგ ოლქის სასამართლოს გადაეცემა.“

ვაცხადებთ, რომ ბ-ნ გ. ვახტანგიშვილს (იმევე რუბენ ვახტანგიანცს) ჩვენთან არავითარი კავშირი არა აქვს და მისგან ვითომდა ჩვენი რედაქციის სასარგებლოდ გამართული წარმოდგებიდან არცერთი კაპიკი მიგვიღია. ჩვენის სახელით ასევე სარგებლობენ ზოგიერთი სხვა ვახტანგები. ამით საყვავლთოდ ვაცხადებთ რომ ვისაც სურს ჩვენი რედაქციის სასარგებლოდ გამოართოს რამე—წინასწარ ნებართვა უნდა ჰქონდეს ჩვენგან.

### წერილი რედაქც. მიმართ

პატივცემულო მ. რედაქტორო!

(ეს წერილი შეგვიანებით იბეჭდება. რედ) გიგზავნი თხელმეორეთ სიას იმ პირთა, რომელთაც მიიღეს მონაწილეობა თქვენ პატივცემულ ჟურნალ „თეატრი და ცხოვრების“ სასარგებლოდ გამართულ საღამოში. საღამომ კარგად ჩაიარა მხოლოდ უამინდობის გამო ხალხი ცოტა დაესწრო. წმინდა შემოსავალი დარჩა 200 მან. (20 თუმანი), რომელიც გადმოვცათ მიხილ ლომიძემ. თუმცა შემოსავალი მიტრეა, მაგრამ გთხოვთ მიიღოთ გულით და სულით მოძღვნილი.

მონაწილეთა სია: იოსებ კახიაშვილი, ლადო დავიდიანი, ირაკლი მურვანიშვილი, რეზო მაღალაშვილი, საღამოს გამგე შ. ვარსიმაშვილი, რეჟისორი კოწია მ—შვილი.

პატივცემით კოწია მურვანიშვილი.

### შემოწირულება.

„თეატრი და ცხოვრება“-ს სასარგებლოთ მივიღეთ:


1. ვასო ოტაშვილის მიერ შეკრებილი: 104 მ.
  2. არჩ. ოტიშვილისგან 3 მ.
  3. ლუკა ქოქრაშვილისგან 50 მ.
  4. იოსებ ქვლივიძისგან 5 მ.
  5. ივანე ნარეკლისშვილისგან 5 მ.
  6. ალექსი ხატისკაცისგან 5 მ.
  7. მარიამ ნაცვლიშვილისგან 2 მ.
  8. ეკატ. ხიმშიაშვილისგან 2 მ.
  9. ივანე ბალტისგან 2 მ.
  10. კოლა ხოჯამარქაროვისგან 2 მ.
  11. გოტლიბ მაიერისგან 2 მ.
  12. იოსებ გაბუნიაშვილისგან 5 მ.
  13. ელენე ნესტვირიშვილისგან 5 მ.
  14. იოსებ უდუმაშვილისგან 5 მ.
  15. ალ. ლოლაძისგან 5 მ.
  16. იოსებ ქორქაშვილისგან 1 მ.
  17. იოსებ კაშოშიძისგან 5 მ.
  18. ალ. წუწუნავასგან 5 მ.
  19. იერ. გულისაშვილისგან შიტოხოსო ვნის აღსანიშნავად 25 მ.
  20. ელ. ექ. ფარჯანაძისხსოვნის აღსანიშნავად ტ. ფარჯანიძისგან 40 მ.
  22. ამხანაგისგან 30 მ.
  23. იასონ ფავლემიშვილისგან 5 მ.
- შემომწირველთ გულისათვ მადლობას ვუძღვნ. რედ.



ლატარია

— ხომ არ დაგა-  
ვიწყდით პირვე-  
ლი ქართული  
ლატარიის ბი-  
ლეთის შექმნა?  
— ლატარიის ბი-  
ლეთი რა არის?  
აი, ვიგრიშნი?  
— ჯა...  
— დემოთიმე გი  
შეუდის მომავლ-  
ნა, ნეტამც ვი  
დეგ ვიშოვი თუ  
არა?  
— აქარდა. მო-  
იკითხე ეველგან.  
თითო ბილეთი  
ღირს 25 მან.,  
მეხუთედი 5 მან.

ქართული ლა-  
ტარიის ბილეთ-  
ები ისეაღება  
ეველგან პირვე-  
ლი ბილეთი იკე-  
ბს 100,000 მ  
მომკება სულ  
2,393 ბილეთი.



\* \*

1

ისმინეთ ჩვენი მოწოდების ხმა  
სამშობლო ქვეყნის მოქალაქენო:  
ლატარიისკენ; ლატარიისკენ!  
არვინ ჩამორჩეთ თანამომკენო.

2

თუ ხელოვნებს ზიარებულხართ  
და თაყვანსაც სცემთ მის მფარველ  
დემოთებს, —  
დაეხმარებით მის კეთილ მსახურთ,  
ვინც საეროვნო საქმეს აკეთებს;

3

ხალხო ქართველო ერთის დლით მაინც  
თავი ანებე ნუნუას წვეთებს,  
გასწი გულ-უხვად ლატარიისკენ  
და მოაწერე ხელი ბილეთებს.

**ქართული  
პირველი ლატარია**  
5,000,000  
ქართული თე-  
ატრისა და  
უნივერსიტე-  
ტის სასარგე-  
ბლოდ გაიშა-  
რდება ამა  
1918 წ. ქრი-  
სტიშობისთ-  
ვის 25, ბი-  
ლეთები თი-  
თო 25 მ მე-  
ხუთედა 5 მ.  
ისეიდება ევე-  
ლგან. ამ ბი-  
ლეთების შექმ-  
ნა შეიძლება  
ეუწინაღ, თუ  
ატრი და ცხო-  
ვრება-ს რე-  
დაქმნა (   
ბაზრის ქ. №  
20) ადექ. ბა-  
დის პირდაპ.  
სახ. არკვეა-  
ნიძისა)



ეველასთვის საჭირო და სასარგებლო წიგნა  
(ოცდა ხუთი წლის ნაშრომი)

**უცხო სიტყვათა  
ლექსიკონი**

შედგენილი იოსებ იმედაშვილის შაჰრ, მკარე მე-  
სებულ-შესწორებული გამომცემა, გამოვიდა. შეიცავს  
1112 სვ. ხელის შემკრთათვის, საუკეთესო ფაბრიკა  
— 20 მან, უფრო — 15 მან. (წინადა შემოტა-  
ნილის გამომცემით). ბაზარზე ფაბრიკა — 30 მ.,  
უფრო 25 მ. საწეობი: თბ ღისი, ბაზრის ქ. ნა-  
შერი 20, ადექსანდრეს ბადას პირდაპირ, რედა-  
ქცია „თეატრი და ცხოვრება“

**სალომანი მახარაი**

დიანოზ კიკნაველიძე.  
ადიდებს ფოტოგრაფიულს სურათებს და ასრულებს  
ეუველველგან მხატვრულ საქმეს. — ამხ. დებს საუ-  
ცხოვროდ, ფაქიზად და დროზე, მისამართი: ქ. თბი-  
ლისში — სამოვლნი ქ. №1, ყვირილში — ფოსტის  
ქ. ბეგლარ გვერდის სახლში.

ქ ა რ თ უ ლ ი

**ლატარია**

არ დაგავიწყდეთ!

რედაქტორ-გამომცემელი იოსებ იმედაშვილი